2020 წლის განმავლობაში გორის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე, 2020 წელში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე შესყიდვის მიზნით

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #6

NAT190025490

ქ. გორი **30 მარტი 2020 წელი**

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის სამუშაო ოთახში.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ერასტი ელიჯარაშვილი - კომისიის თავმჯდომარე, გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

ალექსანდრე თარხნიშვილი - კომისიის წევრი,გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ და შესყიდვების სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დალი ტლაშაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

მალხაზ ლალებაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ზვიად ანესაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

არჩილ გიუნაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

სატენდერო აპარატის შემადგენლობა:

ტარიელ მეტრეველი - აპარატის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში მეორე რანგის მეორადი სტუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი;

დღის წესრიგი:

2020 წლის განმავლობაში გორის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე, 2020 წელში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) **(NAT200025490)** პრეტენდენტის **შპს „რეალექსპერტი“-ს** მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის

საბჭოში წარდგენილი DET190025490_02(NAT) საჩივრთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საკითხის განხილვა.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ტარიელ მეტრეველმა სატენდერო კომისიას წრუდგინა შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს 2020 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, შპს „რეალ ექსპერტის“ DET190025490_02(NAT) საჩივრის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების ნაწილში ცალსახადაა მითითეული, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიამ გააუქმოს 2020 წლის 9 მარტის სხდომის №5 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და შპს „რეალექსპერტის“ მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განახორციელოს მათი სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სატენდერო კომისია ყურადღებას ამახვილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2020 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების, სამოტივაციო ნაწილში მითითებულ მსჯელობაზე:

„საბჭო მიიჩნევს, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისია 2020 წლის 9 მარტის სხდომის №5 ოქმში ვერ ადასტურებს, რომ NAT190025490 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 2.4.1 პუნქტის მოთხოვნებიდან, მათ შორის ამავე სატენდერო დოკუმენტაციის 8.1 პუნქტში მოცემული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ჩანაწერის გათვალისწინებით ცალსახად დგინდება, თუ კონკრეტულად რა ტიპის/სახის სამშენებლო სამუშაოებზე უნდა მოხდეს საზედამხედველო მომსახურების გაწევა.“

- სატენდერო კომისია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის 2.4.1 მუხლის მე-4 პუნქტში, საუბარია მხოლოდ შესაბამის **ძირითად სპეციალისტებზე,** ამასთან დამატებით სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის 8.1 მუხლში ატვირთული ხელშეკრულების პროექტის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში, მოწვეულ იქნას დანართ №3-ით გათვალისწინებული სპეციალისტებისგან განსხვავებული სფეროს მცოდნე სპეციალისტები. ამასთან სატენდერო კომისია განმარტავს, რომ სპეციალისტების ჩამონათვალზე დაყრდნობით, სამუშაოების ტიპის/სახის დადგენა არაა მართებული, აღნიშნული ხაზით მსჯელობის განვითარება ვერ მიგვიყვანს ლოგიკურ შედეგამდე.

„საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნავს, რომ NAT190025490 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 პუნქტის პირველი პუნქტის ჩანაწერიდან ცალსახად არ იკვეთება, რომ ორივე სუბიექტი - პრეტენდენტიც და ქვეკონტრაქტორიც კონკრეტულ, ერთი და იგივე სფეროში უნდა იყვნენ აკრედიტირებულნი სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ.“

- აღნიშნულთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის მოთხოვნის მიხედვით აკრედიტაცია უნდა ჰქონდეს პრეტენდენტსაც და ქვეკონტრაქტორსაც. იმ შესაძლებლობის დაშვება, რომ ძირითად კონტრაქტორს შესაძლებელია არ ჰქონდეს აკრედიტაცია კონკრეტულ სფეროებში, რასთან დაკავშირებითაც, შესაძლებელია აიყვანოს ამ სფეროებში აკრედიტირებული პირები ქვეკონტრაქტორად და ჩვენ წარმოგვიდგინოს მათი აკრედიტაციის მოწმობები შესაბამისი სფეროთი, არაა მართებული. ამ განმარტებიდან გამოდის, რომ მსგავსი დაშვებით აკრედიტაციის არ მქონე, ნებისმიერ პრეტენდენტს შეუძლია ტენდერში მიიღოს მონაწილეობა და ყველა საქმის

შესრულებაზე ქვეკონტრაქტორი აიყვანოს, რაც არ არის სწორი და არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ჩვენს მიერ განსაზღვრულ პირობებს. ამასთან ყურადღება უნდა გამახვილდეს სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის 2.7.1 მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერზე, სადაც ცალსახად მრავლობით რიცხვშია განსაზღვრული მოთხოვნა.

„ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საბჭო მიიჩნევს, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2020 წლის 9 მარტის სხდომის №5 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.“

საბჭო რეკომენდაციას აძლევს შემსყიდველი ორგანიზაციის - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიას იმსჯელოს იმ საკითხის შესახებ, თუ რა მიზნის მისაღწევად არის დადგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები, <u>რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილია დასახული მიზნის მიღწევა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების ამ სახით ჩამოყალიბების გზით</u> და აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის ანალიზის შედეგად, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

- სატენდერო კომისიის შეფასებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სატენდერო დოკუმენტაციის ჩანაწერების ბუნდოვანებასთან და ორაზროვნებასთან, ასევე მოქმედ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის შესახებ, შეუძლებელს ხდის **NAT190025490** ელექტორნული ტენდერის პროცედურების გაგრძელებას, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სატენდერო კომისია ითვალისწინებს რა დავების საბჭოს რეკომენდაციას, სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის იმგვარი სახით, რა სახითაც წარმოდგენილია მიმდინარე ტენდერში, რამდენად შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ტენდერის გამოცხადების ეტაპზე დაგეგმილი შედეგის მიღწევა, დღის წესრიგიში დადგა ტენდერის შეწყვეტის საკითხი.

სატენდერო კომისიამ იმსჯელა **NAT190025490** ტენდერის შეწყვეტის საკითხის შესახებ, რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.

კომისიამ დაადგინა:

1. შეწყდეს 2019 წლის 24 დეკემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერი NAT190025490 (აუქციონის გარეშე) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
2. წინამდებარე ოქმი ჩაითვლება შეტყობინებად.

კომისიის თავმჯდომარე	Erasti Elijarashvili	Digitally signed by Erasti Elijarashvili Date: 2020.03.30 19:03:41 +04'00'	ერასტი ელიჯარაშვილი
კომისიის წევრები	Aleksandre Tarkhnishvili	Digitally signed by Aleksandre Tarkhnishvili Date: 2020.03.30 19:04:23 +04'00'	ალექსანდრე თარხნიშვილი
	Dali Tlashadze	Digitally signed by Dali Tlashadze Date: 2020.03.30 19:05:07 +04'00'	დალი ტლაშაძე

	Malkhaz Lalebashvili	Digitally signed by Malkhaz Lalebashvili Date: 2020.03.30 19:06:06 +04'00'	მალხაზ ლალებაშვილი
	Zviad Anesashvili	Digitally signed by Zviad Anesashvili Date: 2020.03.30 19:06:41 +04'00'	ზვიად ანესაშვილი
	Archil Giunashvili	Digitally signed by Archil Giunashvili Date: 2020.03.30 19:09:28 +04'00'	არჩილ გიუნაშვილი
აპარატის წევრი	Tariel Metreveli	Digitally signed by Tariel Metreveli Date: 2020.03.30 19:10:22 +04'00'	ტარიელ მეტრეველი